პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 შაბათი 31 დეკემბერი № 304 (17044) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 წელი დამკვრელური შრომის წელია!

მოგზრძანდება ახალი წელი!

მხატვარ გ. მაისურაძის პლაკატი.

ესტაფეტა — დამკვრელურს!

ძალლიერების გრძნობით მივაცილებთ საიუბილეო 1977 წელს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეხუთმეცე წლისთავის, ახალი კონსტიტუციის მიღების, მრავალი ღირსსახსოვარი ისტორიული მოვლენის წელს და ვეგებებით ახალს — 1978 წელს, პარტიის, ხალხის მიერ ამთავითვე რომ დაენათლა სახელი დამკვრელური შრომის წლისა. მიმავალი და ახალი წლების მიჯნაზე დიდ ისტორიულ ნიშანსვეტად არის აღმართული ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, მისი გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვა — ჩვენი სამოქმედო პროგრამა, ჩვენი წინსვლის კომპასი. მიმავალი და ახალი წლების მიჯნის ზემოთ ნახსენები ისტორიული ნიშანსვეტის — პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის სულისკვეთება. მისი ექო გაისმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, რომელიც ამ წელიწადში რესპუბლიკის მძლავრი მაჯისცემის ბოლო აკორდი, ამ წლის შრომის. ბრძოლის, დაბრკოლებათა გადალახვის, წინსვლის დიდებული წიგნის ბოლო კარი იყო. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დეკემბრის პლენუმის შუაზე წარმართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი იმ სიმაღლეთა ამსახველი სარკეა, რომელთა გადასახედიდან ნათლად ეხედავთ განვლილსა და გასაველელ გზებსაც, შრომაში მიღწეულ წარმატებათა წყაროსა-სათაველებსაც და სიძნელეს-ზიგზაგთა წარმომშობ მიზეზებსაც და ახალი წლის პერსპექტივებსაც.

მომავალი წლის პერსპექტივები ნათლად არის ასახული გუშინ პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კანონში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, ერთხმად რომ მიიღო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

წინსვლისა და ზრდის ამ დიდებული გეგმის ეკონომიკური წანამძღვარია მეათე ხუთწლედის გასული ორი წლის, კერძოდ, ხაუთბილეიო წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანიც. ამ წლის მარტო თერმეტ თვეში მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 175 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, რაც 15 მილიონ მანეთით აღემატება მიდიწარი წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ზრდა მშენებლობაშიც. დიდებული საიუბილეო საჩუქარი იყო ჭვირხაშ-მესტიის მაგისტრალი, ენგურის გადახიდვა, ჭვრის წყალსაცავის ავსების დაწყება... რა სიძნელეების გადალახვა არ მოუხდა ჩვენს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, რათა მოეწია ჩაის რეკორდული მოსავალი; შრომელთა გული ვიეხარებინა ციტრუსების უხვი ნაყოფით. ქართველმა მეჩაიეებმა 1980 წლის ზღურბლს გადააბიჯეს — დამაზადეს 412 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი მოლოცვა დაიმსახურეს. დამზადდა 407,3 ათასი ტონა ყურძენი. რეკორდულია ციტრუსების მოსავალი — სახელმწიფოს მიეყიდა 180 ათასი ტონა. ახლა ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი, მეცხოველეობის პროდუქტები, ფრინველი!

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ეს მარტო ლოზუნგი არ არის, ეს უფრო და უფრო ხორცს ისხამს და რეალური ხდება რესპუბლიკაში. მატერიალური წარმოების დარგებში მიღწეულ წარმატებებს მოაყვა მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი. გასული ორი წლის მანძილზე საკრძნობი წარმატებებია მოპოვებული ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, სამედიცინო დახმარებაში, სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, კულტურის დაწესებულებების ქსელის გაფართოებაში.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო რესპუბლიკის მშრომელთა ყველა ფენის შემოქმედებითმა ინიციატივამ, ამის მძლავრი წყარო გახდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით არის მიღებული 1976 წლის ივნისში, აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადება და ზეიმი.

მასების შემოქმედებითმა ინიციატივამ უფრო მძლავრად უნდა გამალოს ფრთა 1978 წელს — დამკვრელური შრომის წელს, ეს კი იქნება და უნდა იქნეს კიდეც მიღწეული თუ შემდგომ კიდევ უფრო ამაღლდება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასების შრომითი ენერგიის ორგანიზაციისათვის, შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერისათვის, ყოველგვარი დისციპლინის, ორგანიზებულობის, წესრიგის განმტკიცებისათვის. ამას მოითხოვს ჩვენგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთი გადაწყვეტილება.

ჩვენს რესპუბლიკას წინსვლის ყველა წანამძღვარი, ყველა პირობა აქვს. 1978 წლიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო იზრდება მიღწევები სახალხო მეურნეობაში, კულტურაში. ჩვენი ენციერები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები სულ უფრო და უფრო შორს უთქვამენ სახელს შშობლიურ რესპუბლიკას, დიდი მიღწევები გვაქვს სახალხო განათლებაში. მოპოვებული წარმატებები ჩვენი გმირული მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ნიჭიერი სახალხო ინტელიგენციის შეუპოვარი, თავდადებული შრომის შედეგია. რესპუბლიკის მზარდი წინსვლა და აღმავლობა განაპირობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დიდმა ორგანიზატორულმა მუშაობამ. და იმ შეუნელებელმა ზრუნვამ დახმარებამ და ხელმძღვანელობამ, რომელსაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. საქართველოს მშრომელებისა და მისი ავანგარდის — კომუნისტებისათვის შრომაში შთაგონების წყარო და ხამოქმედო პროგრამაა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების გადაწყვეტილებანი, დებულებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებები და სიტყვები პლენუმებზე, სესიაზე და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. ყოველივე ეს კვლავაც შშრომელთა, ყველა კომუნისტის ხამოქმედო პროგრამა და შთაგონების წყარო იქნება. ახალი, დამკვრელური შრომის 1978 წლისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა დასახა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა გეგმა 1978 წლისათვის. იგი ითვალისწინებს საერთო-საკავშირო დონეხაგან რესპუბლიკის სამეურნეო რაკორრენის შემდგომ შემცირებას და მისი საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის დაჩქარებული ზრდის საფუძველზე გადამწყვეტი წანამძღვრების შექმნას მთელი ხუთწლედის მოლიანად და წარმატებით შესრულებისათვის.

ამ მიზნის მიღწევის გზაზე ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ყოველგვარი დისციპლინის განმტკიცება ყველა სამუშაო უბანზე, დაუნდობელი ბრძოლა ნგნატერი მოვლენების წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე სამართლიანად აღინიშნა, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობა, რუსთაველთა ინიციატივიდან რომ იღებს სათავეს, მატერიალურ გამოხატულებას პოულობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ყველა დიდმა თუ პატარა შრომითმა კოლექტივმა და ორგანიზაციამ, მითუმეტეს ვის მიმართაც პლენუმზე მკვეთრი და სამართლიანი კრიტიკა გაისმა, უნდა გავითვალისწინოთ და კომუნისტური პრინციპულობით გამოვასწოროთ ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ამას მოითხოვს ახალი წლის დიდი ამოცანების უთუო და წარმატებით შესრულების, ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები.

თითოეულ კომუნისტს, თითოეულ შრომელს, შრომითს კოლექტივს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შშრომელის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — **გადაკაჩიონ 1978 წელი დამკვრელური შრომის წლად და მიაღწიონ ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში.**

ჩვენი დიდი სოციალისტური ხამშობლო ოქტომბრის რევოლუციის მეშვიდე ათწლეულშია. ჩასახვის პირველივე დღიდან ხაბჭოთა სახელმწიფოს დროშაზე წარწერილი იყო „შშვიდობა“, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პირველი დეკრეტი შშვიდობას შეეხებოდა; ლენინური კომუნისტური პარტიის დეკანოზი შშვიდობა დედამიწაზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი მოღვაწეობა ემსახურება ამას, რომ ომი გამოირიცხოს კაცობრიობის ცხოვრებიდან. ახალი წლის დადგომას ადამიანი მუდამ შშვიდობას უკავშირებს, პირველი მისი ნატვრა შშვიდობაა. კარგად უთქვამთ: კალენდარს უკანასკნელი ფურცელი ეხევა. დგება ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი დღეასწაული — ახალი წელი, თითქოს ბრუნს აკეთებსო უსასრულობის დიდი თეატრის — ხამყაროს მოძრავი სცენა — პლანეტა ჩვენი. მაყურებელი — ისტორია იმედითა და გულის ფანცქალით, სიხარულითა და მღელვარებით შეჰყურებს მას: რა ახალ პიესას გვპირდები შენ, უდიდესო დრამატურგო — ცხოვრებავ, რა სპექტაკლს ქმნი და რა როლს გვისრულებ შენ — ხალხის გენიავ — ადამიანო!

დაე ადამიანი მხოლოდ ქმნიდეს!

ხუთწლედის გმირულ წელთა ესტაფეტა გადადის ახალ, 1978 დამკვრელური შრომის წელიწადში.

დაე შრომაში წარმატებული, ცხოვრებაში ბედნიერი, შშვიდობიანი და უბედოვლათითანი იყოს ეს მომავალი წელიც!

მრავალჟამიერ!

არ შევანელოთ საიუბილეო წლის ჯემპი

რესაუბლიკის შრომითი კოლექტივები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებებს, და ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებებით, რომ შევინარჩუნოთ ხაიუბილეო შეჯიბრების რიტმი, განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს, მეათე ხუთწლედის მეხამე წლისათვის კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

დღეს ვაქვეყნებთ ვალდებულებებს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისა:

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკუმმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მთლიანი პროდუქციის წარმოების მეათე ხუთწლედის **ორწლიანი გეგმა შეასრულეს 20 დეკემბრისათვის,** რის შედეგადაც **ორ წელიწადში გეგმის გადამეტებით დაამზადეს 7 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას.**

ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 1978 წელი დამკვრელური შრომის წლად გამოაცხადა, იკისრა შემდეგი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი: **აგრეგატების და მოწყობილობის უკეთ გამოყენების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცემენ ასობით ტონა თუჯს, ფოლადს, მზა ნაგლინს, ფოლადის მილებს;**

1978 წლის 15 დეკემბრისათვის შეასრულებენ მოლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლედის სამი წლის გეგმას;

მატერიალური, შრომითი და ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი ხარჯვის გზით ქარხანას გადააქცევენ სტაბილურად მომგებიან საწარმოდ, 0,25 პროცენტით შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას და მიიღებენ 250 ათას მანეთ ზეგეგმიოს მოგებას;

წენისაგან მიღებულ დანაკარგს შეამცირებენ 5 პროცენტით.

ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის ამაღლების, ხარისხის მართვის საქარხნო სისტემის სრულყოფის გზით ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის გამოშვებას გადიდებენ საერთო მოცულობის 20 პროცენტამდე.

დაზოგავენ 500 ტონა ლითონს, 1,5 ათას ტონა პირობით სათბობს, 1,5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას;

ითვისებენ ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის — 10 ხსნადი მარკის მილებს, 10 მილიმეტრი დიამეტრის წრილსორტული ფოლადის, ზეზუსტი კუთხეკილიანი სამაგრი მილების წარმოებას; **გადიდებენ** ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარიდან სხმული ნამზადების გამოშვების მოცულობას;

წარმოებაში დანერგავენ 750 რაციონალიზატორულ წინადადებას და ამ გზით მიიღებენ 1.575 ათას მანეთ პირობით ეკონომიას;

მოამზადებენ 950 ახალ მუშას, კვალიფიკაციას აუმაღლებენ 2.300 მუშაკს, ეკონომიკის სკოლებში ასწავლიან 1.600, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში — 223, მოწინავე გამოცდილების სკოლებში— 450 მუშაკს;

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დაამთავრებენ ფართო მოხმარების საქონლის საწარმოო საამქროს მშენებლობას;

საექსპლოატაციოდ გადასცემენ ტყვარჩელის დოლომიტის მაღაროს, ჟანგბადის სადგურის პირველ რიგსა და ქარხნის საბრუნე წყალმომარაგების სისტემას;

მესამე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცემენ სათბურების მეორე რიგსა და მეცხოველეობის კომპლექსს.

გურჯაანის მეცხოველეობის საკოლმეურნეოგათაშორისო საწარმოო გაერთიანების კოლექტივისა:

გაერთიანების კოლექტივმა, რომელმაც პირობა დადო, რომ წლიურ ვალდებულებებს შეასრულებდა 7 ნოემბრისათვის, ისინი კიდევ უფრო ადრე გაანაღდა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღისათვის **სახელმწიფოს ჩაბარა 18.840 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად დაპირებული 13 ათასი ცენტნერისა. წლის დამლევამდე სულ ჩაბარებენ 19 ათას ცენტნერზე მეტ ხორცს — გეგმაზე 6 ათასი ცენტნერით მეტს.**

ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონამ შეადგინა 291 კილოგრამი . საიუბილეო წელს თითოეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 2.800 კილოგრამი რძე, დაეგემილი 1.860 კილოგრამის ნაცვლად; დაამზადეს **და სახელმწიფოს ჩაბარეს 5.000 ცენტნერი** რძე, **ეგემით გათვალისწინებული 3.000 ცენტნერის ნაცვლად.**

სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის 75 პროცენტი მაღალი ნაკვებობისაა, დანარჩენი ნაწილი — საშუალო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებების პასუხად, გაერთიანების კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა ხუთწლედის მესამე წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გაადიდოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, შინაგანი რეზერვების გამოყენების გზით. დასახული მიზნის მიღწევის ქმედითი საშუალებაა საკვები ბაზის განმტკიცება, ჯოვის ჯიშიანობის გაუმჯობესება, მისი სულადობის გადიდება, ვეტერინალური მომსახურების დონის ამაღლება, საწარმოო პროცესების მექანიზაციის დანერგვა.

გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა გაისად აწარმოოს და სახელმწიფოს ჩაბაროს დაახლოებით 20 ათასი ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 ათასისა. ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა შეადგენს 320 კილოგრამს, საშუალო-სადღეღამისო წონამატება აღემატება 700 გრამს, ხოლო სახბორეში — კილოგრამს.

კილოგრამი ხორცის წარმოებისათვის დაიხარჯება 9 საკვები ერთეული, ნაცვლად 13-ისა. ჩასაბარებელი პირუტყვის 99 პროცენტი იქნება საშუალო და მაღალი ნაკვებობისა.

გათვალისწინებული აქვთ თითოეულ ხაფურაეე ძროხაზე მიიღონ დაახლოებით 3.500 კილოგრამი რძე. მთელი ჩაბარებული რძე იქნება პირველი ხარისხისა.

ზამთრის პერიოდში ხორცსა და რძეს ჩაბარებენ რეგულარულად, შეუფერხებლად.

ხორცის თვითღირებულება შემცირდება 5 პროცენტით, რძისა კი 6 პროცენტით; შრომისნაყოფიერება დაეგემილთან შედარებით 5 პროცენტით გაიზრდება.

ყოველ ას ძროხაზე მიიღებენ და შვინარჩუნებენ 95 ხბოს. სულადობა 10 ათასამდე გაიზრდება.

შავკრელი ჯიშის ძროხების ფერმას, რომელშიც 500 სული პირუტყვია, წლის დამდეგს შეემატება კომპლექსი ამავე ჯიშის ამდენივე სული ძროხისათვის, ხოლო წლის დამლევისათვის — კიდევ 400 სული პირუტყვისათვის. ამის შედეგად მალე შეიქმნება შესაძლებლობა აწარმოონ 4-5 ათასი ტონა რძე.

უფრო ფართოდ გამოიყენებენ საკვები კულტურების წარმოების პროგრესულ ფორმებს, გაიზრდება ჰექტარობრივი მოსავლიანობა.

ნოგათები სამშობლოს

ღუმელის პირველი ნადნობი

დღეს, დილის 9 საათისათვის ნადნობი გამოუშვა მარტენის საამქროს მერვე ღუმელმა, რომელიც კაპიტალური შეკეთების შემდეგ კვლავ ჩადგა მწყობრში. ნადნობს ხელმძღვანელობდნენ მეფოლადე ვ. წიქარიშვილი და ოსტატი კ. ნადარეიშვილი.

ღუმელის კაპიტალური რეკონსტრუქცია შემშიდროებულ ვადაში, გრაფიკით დადგენილ დროზე ოთხი დღით ადრე დამთავრდა. ამ დროში დამატებით გამოშვებული იქნება 2.000 ტონა ფოლადი.

ღუმელის ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემაში თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „ცენტრბრძმდრემონტის“ ამიერკავკასიის სამმართველოს (უფროსი — ნ. მაისურაძე), „ცენტრმეტრემონტის“ რუსთავის სამმართველოს (უფროსი — ნ. ბედენაშვილი), სამხრეთ-აღმოსავლეთის შავი მეტალურგიის ენერგეტიკის როსტოვის სამმართველოს რუსთავის უბნის (უფროსი — ე. სტეფანანი) მემონტაჟეებმა და მშენებლებმა. წარმატებით იმუშავეს ა. მუსერიძის და ნ. ჟურულაშვილის ბრიგადების მემონტაჟეებმა, ი. ბოტოვის და ა. სოროკას ბრიგადების კალატოზებმა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი გ. ქაშაკაშვილი; **პარტბიუროს მდივანი** ა. შარაშენიძე; **საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე** გ. ახვლედიანი.

რუსთავი, 30 დეკემბერი.

ბოსტნეულიც, ხორციც

ბოსტნეულის არნახული მოსავალი მოიყვანეს წლეულს გარდაბნელმა მეგოსტნეობის მეურნეობაში, სადაც მეათე ხუთწლედისათვის ნავარაუდევ საშეალო მოსავალს გადაამეტეს. წარმატებით იშრომეს ავრეთვე რუისბოლოს, სართიჭალის, ულიანოვკის, კრწანისის, თელეთის, მარტყოფის მეურნეობებმა.

გარდაბნელები პირნათელნი არიან ავრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის დამზადებისა და ჩაბარების საქმეშიც. **გადაჭარბებით არის განაღდებული 10.748 ტონა ხორცის ჩაბარების გეგმა-ვალდებულებაც.** თავი ისახელეს ნორიოს და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკების, სამგორის საჯიშე მეფრინველეობის მეურნეობის, ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური სადგურის კოლექტივებმა, ენერგიულად იშრომეს რაიონის სასოფლო საბჭოებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

პოლიგრაფისტთა წარმატება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის მაღალი საწარმო მიჯნების მიღწევისათვის, ვადამდე, 26 დეკემბრისათვის შეასრულა სასაქონლო ხუთწლედის გამოშვების წლიური გეგმა. ამ თარიღისათვის მათ აწარმოეს 3.211 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.210 ათასი მანეთისა. (საქინფორმი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

„სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს **„სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“** საპატიო წოდება.

2. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებს, სასწავლო-აღმზრდელობითი, მეთოდიკური და განათლების ორგანოების სხვა დაწესებულებათა მუშაკებს ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის.

2. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭება წარმოება სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წარდგინებით.

3. იმ პირთ, რომლებსაც ენიჭებათ „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდება, ეძლევათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

4. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ სამკერდე ნიშანი იბნევა ბარკვენა მკერდზე. იმ პირებმა კი, რომლებსაც აღნიშნული წოდება მიენიჭათ და აქვთ მიღებული სსრ კავშირის სხვა ორდენები, უნდა ატარონ იგი ამ ორდენების ზევით.

5. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდებით ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. აღნიშნული წოდების ჩამორთმევის შესახებ წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია მიმართონ სასამართლოს ორგანოებმა. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 30 დეკემბერი.

დებულება

„სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების შესახებ

1. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებს, სასწავლო-აღმზრდელობითი, მეთოდიკური და განათლების ორგანოების სხვა დაწესებულებათა მუშაკებს ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის.

2. „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების ჩამორთმევის შესახებ წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია მიმართონ სასამართლოს ორგანოებმა. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

„სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ სამკერდე ნიშნის აღწერილობა

„სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ სამკერდე ნიშანი მზადდება ვერცხლისაგან და აქვს 30 მილიმეტრი დიამეტრის წრეწირის ფორმა. სამკერდე ნიშნის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია გადაშლილი წიგნისა და ჩირაღდნის გამოსახულება. გარშემო წარწერილია — „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი“, ზედა ნაწილში ნამგალი და ჩაქუჩი და ორი დაფნის რტო. სამკერდე ნიშანი შემოვლებულია ირმითი.

სამკერდე ნიშნის უკანა მხარეზე წარწერილია „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი საბჭოთა საზოგადოების სიამაყეა“.

ყველა გამოსახულება და წარწერა ამობურცულია.

სამკერდე ნიშანი ყუნწისა ოქროსა საშუალებით შეერთებულია ვერცხლის სწორკუთხა მრავალთან, რომელიც გვერდებზე შეჭრილია, მორაკის საფუძველზე გასდევს ამონაკვეთები. მორაკის შიგნითა ნაწილი დაფარულია წითელი მუარის ლენტით. მორაკზე უკანა მხარეზეა ქინძისთავი ტიკაცელზე სამკერდე ნიშნის მიმაგრებელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

„სალუტ-6“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 30 დეკემბერი. (საკდესი). 12 საათისათვის მოსკოვის დროით „სალუტ-6“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა 1.454-ჯერ შემოუარა დედამიწას, აქედან 300-ჯერ — ეკიპაჟითურთ.

გუშინ ნაშუადღევს მოეწყო **სადგურის** ფრენის ტრაექტორიის კორექცია, **კორექცია შესრულდა „სოიუზ-26“ ხომალდის ძრავის** საშუალებით.

ამჟამად „სალუტ-6“ სადგურის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 371 — კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 334 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,3 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

დასახული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო განაგრძობენ გარემის შესწავლის ექსპერიმენტებს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ეკიპაჟი აკეთებდა დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას.

სადგურის დინამიკური მახასიათებლებისა და მის კონსტრუქციაზე მოქმედი დატვირთვის სიდიდეების განსაზღვრის მიზნით პროგრამაში შეტანილია ექსპერიმენტ „რეზონანსი“.

კოსმონავტები რადიოკავშირსეანსებში მოახსენებენ, რომ მთლიანად სრულდება კვლევა და ექსპერიმენტების დაგეგმილი პროგრამა.

სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავკარგად გრძნობენ.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ანგარიშები დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობისადმი, უფრო ობიექტიურად, ღრმად და კონკრეტულად წარმართოს მათი საქმიანობა ადგილებზე, სიტყვამატერად შეისწავლოს. განაზოგადოს და გაავრცელოს საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილება, დანერგოს მეცნიერული მართვის საფუძვლები, მხარი დაუჭიროს გონივრული ინიციატივას, მნიშვნელოვან წამოწყებას, მეტი კონტროლი გაუწიოს საბჭოების მიერ კონსტიტუციითა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებების რეალურად გამოყენებას და მოვალეობათა შესრულებას, საბჭოების ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების დაცვას, გაუაზრესოს საბჭოთა აპარატის მუშაკების, დეპუტატების, აქტივის სწავლების საქმე;

ბ) უფრო მეტად იზრუნოს სახელმწიფო, სამეურნეო-ეკონომიური და სოციალურ-კულტურული შენებლობის კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტისათვის, სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში ადგილობრივი საბჭოების აკტორიტეტის, როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის;

გ) გააკაჭიუროს მუშაობა ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებისათვის სამინისტროებსა და უწყებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საწარმოებსა და ადგილობრივ საბჭოებში საკავშირო და რესპუბლიკური კანონების შესრულებისადმი კონტროლის, სახალხო-სამეურნეო გეგმების და სახელმწიფო ბიუჯეტის რეალიზაციის მდგომარეობის შემოწმებისათვის;

დ) ძირეულად გააუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, მიაღწიოს იმას, რომ მოლიანად აღმოიფხვრას მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღება, უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები, საჩივრების წარმომშობი მიზეზები და პირობები;

ე) უფრო ფართოდ და ეფექტიანად ჩაებას პრეზიდიუმის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა და მეცნიერთა აქტივი;

ვ) დღენიადაგ აუმჯობესებდეს პრეზიდიუმის აპარატის მუშაობას, თანამიმდევრულად ავითარებდეს მუშაკთა აქტივობას, ინიციატივას, საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, ზრდიდეს მათს პასუხისმგებლობასა და მათდამი მომთხოვნელობას.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მრელ თავის საქმიანობას, ყველა ხალხურმა საბჭოების ორგანიზატორულ მუშაობას წარმართავს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უთუოდ განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

□

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ანგარიშები დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობისადმი, უფრო ობიექტიურად, ღრმად და კონკრეტულად წარმართოს მათი საქმიანობა ადგილებზე, სიტყვამატერად შეისწავლოს. განაზოგადოს და გაავრცელოს საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილება, დანერგოს მეცნიერული მართვის საფუძვლები, მხარი დაუჭიროს გონივრულ ინიციატივას, მნიშვნელოვან წამოწყებას, მეტი კონტროლი გაუწიოს საბჭოების მიერ კონსტიტუციითა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებების რეალურად გამოყენებას და მოვალეობათა შესრულებას, საბჭოების ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების დაცვას, გაუაზრესოს საბჭოთა აპარატის მუშაკების, დეპუტატების, აქტივის სწავლების საქმე;

ბ) უფრო მეტად იზრუნოს სახელმწიფო, სამეურნეო-ეკონომიური და სოციალურ-კულტურული შენებლობის კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტისათვის, სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში ადგილობრივი საბჭოების აკტორიტეტის, როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის;

გ) გააკაჭიუროს მუშაობა ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებისათვის სამინისტროებსა და უწყებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საწარმოებსა და ადგილობრივ საბჭოებში საკავშირო და რესპუბლიკური კანონების შესრულებისადმი კონტროლის, სახალხო-სამეურნეო გეგმების და სახელმწიფო ბიუჯეტის რეალიზაციის მდგომარეობის შემოწმებისათვის;

დ) ძირეულად გააუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, მიაღწიოს იმას, რომ მოლიანად აღმოიფხვრას მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღება, უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები, საჩივრების წარმომშობი მიზეზები და პირობები;

ე) უფრო ფართოდ და ეფექტიანად ჩაებას პრეზიდიუმის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა და მეცნიერთა აქტივი;

ვ) დღენიადაგ აუმჯობესებდეს პრეზიდიუმის აპარატის მუშაობას, თანამიმდევრულად ავითარებდეს მუშაკთა აქტივობას, ინიციატივას, საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, ზრდიდეს მათს პასუხისმგებლობასა და მათდამი მომთხოვნელობას.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მრელ თავის საქმიანობას, ყველა ხალხურმა საბჭოების ორგანიზატორულ მუშაობას წარმართავს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უთუოდ განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

□

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1977 წლის 30 ივლისისა — „ბორჯომის რაიონის ბაკურიანის ხეობიდან საბჭოდან სოფელ ლიბანის გამოყოფისა და ტბის სასოფლო საბჭოთადმიკუთვნების შესახებ".

1977 წლის 23 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ ახალციხის რაიონში სვირის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების თაობაზე საქართველოს სსრ კანონის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მიღება, რომლის შესაბამისადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემოაქვს კანონპროექტი „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ", ახალი დადასტურებაა იმ უდიდესი ყურადღებისა და ზრუნვისა, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იჩენენ ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი განიხილება სესიაზე, რომელმაც იმსჯელა და დაამტკიცა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმა, რომელშიც მატერიალური წარმოების შემდგომ ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია საბჭოთა საქართველოს კულტურის ფართო განვითარება.

ცნობილია, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლები წარსულ თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ასახავენ. ისინი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

სსრ კავშირის კანონში ძეგლთა დაცვის შესახებ შეკრებილი, გადამუშავებული და კონცენტრირებული მთელი არსებული დადი საკანონმდებლო გამოცდილება და სამართლებრივი ნორმების ვრცელი სისტემა ამ სფეროში; ეგი საკანონმდებლო ბაზაა ეკონომიკური მშენებლობის თანამედროვე გარდაქმნების და უეჭველად ხელს შეუწყობს იმ დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ დაუსახა კულტურის მუშაკებს ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდის საქმეში. კანონში ბრწყინვალედ არის ხორცშესხმული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეები კულტურული მემკვიდრეობისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და მშრომელი მასების განათლება-აღზრდის საქმეში ისტორიისა და კულტურას ძეგლთა ეფექტიანად გამოყენების შესახებ.

ხალხს გარჯითა და ნიჭით შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი მშრომელთა ნამდვილი კუთვნილება გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინის ინიციატივით განხორციელდა ღონისძიებანი კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღრიცხვის უზრუნველსაყოფად. ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი ამ მზრუნველური დამოკიდებულების ლენინურ ხაზს თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფო მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

ჩვენს ქვეყანას, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ისტორიის, არქიტექტურის, არქეოლოგიის, მონუმენტური ხელოვნების მრავალი ათასი ძეგლი, უმდიდრესი და უნიკალური სამუზეუმო კოლექცია მოეპოვება. საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე ახალი, სოციალისტური ეპოქის ათასობით ძეგლი შეიქმნა. ყოველივე ეს განუყოფელი ნაწილია სოციალისტური კულტურისა, რომელმაც, როგორც ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი აღნიშნავს, არა მარტო უნდა შეისისხლხორცოს ყოველივე საუკეთესო, მოწინავე, რაც ადამიანებს შეუქმნია საუკუნეთა განმავლობაში, არამედ აგრეთვე გადადგას ახალი ნაბიჯი წინ, მთელი კაცობრიობის განვითარების გზაზე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა განსაკუთრებით მდიდარია წარსულის შესანიშნავი ძეგლებით. დღევანდლამდე მოაღწია მრავალმა მათგანმა, რომელთა მხატვრული ღირებულება საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლთა პირველ რიგებში აყენებს და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებად ხდის მათ. ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს ცივილიზაციის ამ საგანძურში შეტანილი თავისი წვლილით. საკმარისია დავასახელოთ ჩვენამდე მოღწეული ოქრომჭედლობის, ეკლესიაკის, მონუმენტური ფერწერის ნიმუშები და განსაკუთრებით, ისტორიის ბედუკუღმართობისა და ომთა სიავის მიუხედავად გადარჩენილი, ათასობით ნაგებობა — ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, წყალსადენები.

ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური და ეროვნული ჩაგრის მოსპობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ძეგლებს.

შენობაზე გაკრული თითოეული მემორიალური დაფა, რევოლუციის მებრძოლთა სიფლაგზე აღმართული თითოეული ობელისკი, დიდი სამამულო ომის გმირთა თითოეული ძეგლი წმიდათაწმინდაა ხალხისათვის. განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება ხალხი დიდი ლენინის პატივსაცემად აგებულ ძეგლებს.

საბჭოთა საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვას, მეცნიერული შესწავლას, აღნუსხვას, შეკითხასა და რესტავრაციას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ომამდერის პირველი დღეებიდანვე კულტურის ძეგლების ლენინური დეკრეტების შესაბამისად ხალხის კუთვნილებად გამოცხადდა. იქმნებოდა და ეწყობოდა მუზეუმები. საცავები. ისტორიული და არქიტექტურული ნაკრძალები. რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ზრუნვის ნათელი დადასტურებაა ის. რომ საქართველოში სსრ კავშირში პირველად 1950 წელს შექმნა სამეცნიერო სამეცნიერო სარესტავრაციო-საწარმოო სახელოსნო. 1959 წელს ასევე პირველად შეიქმნა ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება. ხოლო 1972 წელს — ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო და ხელოვნების ძეგლთა თვალაცვის სპეციალიზებული ექსპერტ-მენტული ლაბორატორია. 1975 წელს — ქალაქ თბილისის ძეგლთა დაცვის ინსპექცია და სხვ. განსაკუთრებით ბევრი რამ ეთქმოდა ამ მხრივ უკანასკნელ წლებში. ჩამოყალიბდა იმ ხელმძღვანელ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ტალღისებრივ აღმავალი სისტემა. რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და გამოყენებას ახორციელებენ. საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები შესრულდა სამასზე მეტ ძეგლზე. ეთანამშრომლობილია მათი მედამოები. გაკეთებულია ძეგლებთან მისასვლელი გზები. მოწესრიგდა წყალმომარაგება. უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები.

შეიქმნა მთავრობის სპეციალური კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ უნიკალური ისტორიული-არქიტექტურული ძეგლების შესწავლასა და აღდგენას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დადგენილებას „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის ორგანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი" ეს ერთ-ერთი ფუძეა, ეს ერთ-ერთი ფუძეა, ეს ერთ-ერთი ფუძეა,

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ჯორჯაძე აკაკი გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ედიშერაშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე
დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე
ლორია ლერმიშან ანთიმოზის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

ბადაგაძე ნიკოლოზ აღექსის ძე
ბებია ორღე სარდიონის ძე
ბლაიძე გოღერძი ვლადიმერის ძე
ბოჭორიშვილი ლენგერ ამბროსის ძე
გველესიანი ოთარ აღექსანდრეს ძე
გელლუაშვილი ლილი გიორგის ასული
გერსამია თემურაზ ვალერიანის ძე
გოგილაშვილი ივანე ზაქარიას ძე
ეხვაია გივი ირიდიონის ძე
ერქომაიშვილი ნინო ივანეს ასული
ვალიევი ხაჯიმურატ დიმიტრის ძე
ილინი სერგო ვლადიმერის ძე
ისაკაძე ლამარა პარმენის ასული
კამკია ოთარ იაკობის ძე
კობერიძე ნელი ვასილის ასული
ლუკოვკინი ვლადიმერ სერგოს ძე
მახარაძე დიმიტრი ფილიპეს ძე
პიტავა რუსუდან ვასილის ასული
ყორდანია ივანე შალვას ძე
საყვარელიძე ლეონიდე მიხეილის ძე
სარქისოვა ელენე რუბენის ასული
სულავა ავთანდილ დიმიტრის ძე
ხორდია-შევცოვა ლამარა პროკოფის ასული
ქრისტესიაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე
ღუღუნიშვილი აღექსანდრე არსენის ძე
ყიფიანი ჯიმი კონსტანტინეს ძე
ცირამუა გივი სტეფანეს ძე
ცისკარიშვილი ჯემალ შალვას ძე
წიქორიძე ნოე აღექსის ძე
წოკლაური ვაჟა ივანეს ძე
ხითარიშვილი ევგენი პაველს ძე
ხმალაძე რამაზ ვასილის ძე
ხონიკაინა აღელინა ივანეს ასული
ხუციშვილი ნორა გიორგის ასული
ჯიბლაძე ოთარ აღექსანდრეს ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშჭარაშვილი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დადგენილების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები:

50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“;

55-ე მუხლის სიტყვების „სასოფლო მშენებლობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატყეო მეურნეობის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ამხანაგური სასამართლოების დებულების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1977 წლის 1 აგვისტოსი — „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

1977 წლის 31 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

1977 წლის 17 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. შ. ი. ჭალაბანიძის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულება „ამხ. შ. ი. ჭალაგანიძის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 29 დეკემბერი.

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ფ. ა. ანანიაშვილის მოხსენებებზე

დეპუტატ
გ. თ. ლოგჟანიძის
სიტყვა

უკანასკნელი წლების მანძილზე საგეგმო და ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა თბილისის საქალაქო მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დიდი ზრახვაჯერისა და დახმარების შეოხებით ჩვენ დავიწყეთ მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას, საცხოვრებელი მასივების, ქალაქის ქუჩებისა და სკვერების კეთილმოწყობას.

დაიწყო გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია, ახალი გზაგამტარის შენებლობა აეჯალის ვზატკეცელზე, მიმდინარეობს სანაპიროს მშენებლობა ორთაჭალეფსიდან ხიდაკვედუკამდე, მთაწრდება დიდუბის ხიდის მისასვლელების კეთილმოწყობა.

მაგრამ 1978 წლისათვის გთვალისწინებულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. მარტო 1978 წელს ქალაქის სამრეწველო წარმოების მოცულობა დასახულია ორი მილიარდ 211 მილიონ მანეთამდე ოდენობით. ეს მოითხოვს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებას.

გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდების ახალი ზრდა კომუნალური მომსახურების, მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კულტურის ძეგლთა და სხვა ობიექტების კეთილმოწყობისათვის.

დასახული ამოცანები რომ შეესრულოთ, საჭიროა ვიზრუნოთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქვეუწყებო სარემონტო-საშენებელო ორგანიზაციათა სიმძლავრენი. ამისათვის კი საჭიროა „ინკომშენის“ ტრესტის დამატებით გამოეყოს მოწყობილობა, მიწასათხრელი მანქანები და ტექნიკური აპარატურა.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
ი. გ. უნგიაძის
სიტყვა

ყველა ჩვენგანს ახარებს დიდი მიღწევები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ხუთწლედის ორ წელიწადში. ამ მიღწევებში თავიანთი წელილი შეაქვთ აჭარის მშრომელებსაც. აჭარელმა მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 56.628 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია რეკორდული მოსავალი — 7.570 კილოგრამი. მნიშვნელოვნად გაიზარდა თამბაქოს, ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. მაგრამ აჭარის მშრომელებს ესმით, რომ ხუთწლედის მომავალ ახალ წელს მათ კიდევ უფრო უნდა გააჯეროონ მუშაობა, შეუპოვრად გამოავლინონ რეზერვები, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. არსებულ სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენების გზით მრეწველობაში მიღწეული იქნება ახალი მაღალი მაჩვენებლები.

აჭარის მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის შემდგომი განვითარების დასახული ღონისძიებანი რომ განვახორციელოთ, საჭიროა შესრულდეს დიდი ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები შავი ზღვის სანაპიროზე. წინა წლებში ამ მხრივ ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია გამოვვიყოთ 1978 წელს ასიგნებანი ქობულეთ-ჩაქვის ზონაში სანაპიროო ხაზის გასამაგრებლად.

აჭარის მაღალი მთის რაიონებში უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომლის შესაბამისად შეიქმნა აჭარის მაღალი მთის სოფლების ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემების კომპლექსური შესწავლის კომისია.

დეპუტატ
ლ. ტ. ტყებუჩავას
სიტყვა

ჩემმა თანამოსაქმეებმა, ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელებმა დამავალეს ყველაზე მხურვალე, ყველაზე გულთათდა მადლობა დადავუხადო სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ მათი დაუცხრომელი საქმიანობისათვის, ჭეყნად მშვიდობის ინტერესებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

საოქტომბრო შეჯიბრების მსვლელობაში ტყვარჩელელებმა კარგი შედეგები მოიპოვეს. საწყენდი სანგრევის სამთო მუშაობის ბრიგადამ, რომლის წევრიც ვარ, წლის დამდეგს იკისრა ვალდებულება თვისი ორწლედი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის შეესრულებინა. სიტყვა არ გაგვიტეხია. ორი წლის დავალება შესრულა ლენინის სახელობისა და ლაკობას სახელობის შახტსამმართველოთა ბრიგადების უმრავლესობამ.

ტყვარჩელელები დღესაც პირნათლად განაგრძობენ საიუბილეო შრომითს ვახტს.

ჩვენმა პარტიამ განადიდა მუშის სახელი, აამაღლა მისი მდგომარეობა და ავტორიტეტი. ადამიანებს პატივს სცემენ შრომის მიხედვით, სახელი და პატივი — დამსახურებისამებრ აქვთ. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამ ზრუნვასა და ყურადღებას ჩვენ, საბჭოთა მეშახტეები, დღენიადაგ ვგრძნობთ. მაღაროელთა ყოველი ოჯახი დღეს კარგად არის მატერიალურად უზრუნველყოფილი, გულდაჯერებთ **უყურებს** მომავალს. საბჭოთა მაღაროელებს მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა აქვთ.

მე და ჩემი ამხანაგები სულითა და გულით ვიწონებთ ახალი კონსტიტუციის თითოეულ სტრიქონს! განსაკუთრებული გრძნობით გამოვეხმაურეთ მუხლებს, რომლებიც განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ერთიანობასა და შეკავშირებას, განსახიერებს პარტიისა და მთავრობის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას.

დეპუტატ
ა. ვ. ბარისაშვილის
სიტყვა

ჩვენი რაიონის ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ჭეშმარიტად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს „ქალაქ-ფუნეთ მცხეთისა და მცხეთის რაიონის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებებს საფუძველზე ბევრი სამინისტრო, უწყება და სამეცნიერო დაწესებულება ოჯახურად ეკიდება მუშაობაში.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად მცხეთის რაიონის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და საიუბილეო წელს კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს. რაიონის მრეწველობამ გამოუშვა 36.980 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც 900 ათასი მანეთით აღმატება საგეგმო დავალებას. ასევე კარგად იმუშავეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სამშობლოს მიჰყიდეს გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, მატყლი და სხვა პროდუქცია.

მაგრამ ჩვენ მოგვეწყინა დიდი მუშაობა ჩვენი რაიონის შესახებ ზემდგომი ორგანოების თუმქედლურ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

შრომითი კოლექტივები შეთანხმენ ისტორიულ ეგზამენს, რომლებიც ბევრია ჩვენს რაიონში. იმათთვის, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, დამტკიცებულია სპეციალური გარდამავალი წითელი დროშები და ვიმეორებ. ეს ვარ არის, რომ მცხეთის რაიონის მშრომელები გაართმევენ თავს მეათე ხუთწლედში მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ საყოველთაოსახალხო საქმეში.

დეპუტატ
რ. პ. კონცელიძის
სიტყვა

რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა 65-ათასიანი არმიის სახელით მინდა სესიის მოვახსენო, რომ პირნათლად შეასრულეს როგორც გეგმა, ისე სოციალისტური ვალდებულებანი. წარმოებულია 2.185 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია — ეს 50 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. თერთმეტ თვეში შესრულდა კაპიტალური მშენებლობის გეგმები, მწყობრში ჩადგა ყველა საგეგმო ობიექტი.

ჩვენთან ხარისხისნიშნიანი პროდუქცია მთელი პროდუქციის 6 პროცენტს შეადგენს, რაც საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მეტია.

1978 წელს კვების მრეწველობის მუშაკთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებულია 2.353 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, რაც 7,5 პროცენტით აღემატება 1977 წელს მოსალოდნელი შესრულების დონეს. ამ პროგრამის შესრულებისათვის ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ახალი რეზერვები, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი. ზოგიერთი დარგი საწარმოო სიმძლავრეთა, განსაკუთრებით ნაკადური ხაზების, სარეცხი დანადგარებისა და სხვათა ნაკლებობას განიცდის. ეს დეფიციტი კიდევ უფრო მწავდება იმის გამო, რომ ზოგიერთი საწარმო დროოლად და ხარისხიანად არ ემზადება სეზონისათვის, აკლია სათადარიგო ნაწილები, ბარაპერატიულად და მოუქნელად მუშაობს. არის ნაკლოვანებანი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში. ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენს დარგის სამეურნეო საქმიანობაზე, იწვევს სიმძლავრეთა მოცდენებს, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირებას, მისი ხარისხის დაქვეითებას, ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების რეჟიმის დარღვევას. ჩვენ ვაპირებთ უადრესად სერიოზულად ვებრძოლოთ ამ ნაკლოვანებებს.

დეპუტატ
რ. ა. ბეტელეევის
სიტყვა

ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვით აღფრთოვანებული სამხრეთ ოსეთის შრომელები ქვეყნის სხვა ხალხებთან თანამეგობრობით მთელ ძალ-ღონეს იხმარენ იმას, რომ წარმატებით შეასრულონ XXV ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები. ისინი მეათე ხუთწლედის მეორე წელს შრომითი მიღწევებით ამთავრებენ.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ოლქის საზოგადოებრიობა მტკიცედ ებრძვიან არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლებისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. მთავარი ყურადღება ეთმობა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საწარმოო ფონდების უფრო ეფექტიან გამოყენებას. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ლაშქრობა მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მომჭირნეობისათვის, სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდის ფართო პერსპექტივებს სახავენ. გეგმა ძირითადად უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კომპლექსურ განვითარებას.

ამასთან ბევრი საკითხი მოითხოვს განხილვას და შემლებისდაგვარ გადაწყვეტას **ეროვნულ** წელს. საქმე ეხება წყალმომარაგების ახალი ობიექტების შექმნას მთის სოფლებში, ადგილობრივი გზებისა და ქალაქ ცხინვალის კეთილმოწყობას, ავტონომიური ოლქის სახალხო განათლებისა და კულტურის ობიექტების ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვის მთელი რიგი ობიექტების კაპიტალურ შეკეთებას.

შემომაქვს წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატ
გ. გ. კაპანაძის
სიტყვა

მინდა დეპუტატებს მოვახსენო, თუ რა წარმატებებით დაამთავრეს გორის რაიონის მშრომელებმა ხუთწლედის მეორე წელი. ჩვენ 118,7 პროცენტით შეავსრულეთ მარცვლეულის დამზადების გეგმა, 103,6 პროცენტით — ბოსტნეულისა. ბოსტნეულის დამზადება გრძელდება, და პირობას ვდებთ პირნათლად შევასრულოთ სოციალისტური ვალდებულებანი. წელს რაიონმა მიაღწია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილ დონეს ხილის დამზადების დარგში. წარმატებანი გვაქვს მეურნეობის სხვა დარგშიც, რომლებიც მოწმობს, რომ რაიონის მშრომელები პარტიისა და მთავრობის უპასუხუხებენ.

ამორჩეველთა თხოვნით მინდა დავსვა რაიონის მოსახლეობისათვის რამდენიმე საარსებო საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

კერძოდ, რაიონის სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. საკუთარი ძალებით და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დახმარებით ამ საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გამო, რომ არ არის დაფინანსების წყარო. საჭიროა ამ მიზნით გავითვალისწინოთ დამატებითი ასიგნებანი რაიონის ბიუჯეტში.

ჩემი მშობლიური სოფლის ბერშუეთის მეხოვრები გთხოვენ გადავწყვიტოთ სასმელი წყლით მათი უზრუნველყოფის საკითხი. წყალსადენის მშენებლობა 1968 წელს დაიწყო, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ წიაღი მდიდარია წყლით, ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნეს მის მუდმივ მძლავრ წყაროს. ჩვენთან აშენებულია ორი სარეზერვო აუზი, გაყვანილია წყალსადენის ქსელი, რისთვისაც 180 ათასი მანეთი დაიხარჯა. საჭიროა ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

დეპუტატ
ი. ა. ფიროსმანიშვილის
სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია ახალი შრომითი და შემოქმედებითი მიღწევების დასაწყისს მოასწავებენ.

წითელწყაროს რაიონის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ამას მოწმობენ 1977 წლის მაჩვენებლები. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. რაიონის მშრომელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია მეგენახეობის შემდგომი განვითარება. 1976-1977 წლებში გაშენდა 4 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები. ნავარაუდევი იყო, რომ მევენახეობა განვითარდებოდა მარცვლეული კულტურების წარმოების შემცირების ხარჯზე. მაგრამ სულ სხვანაირად მოხდა. რაიონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა დავიწყოთ ასევე კულტურები 17.270 ჰექტარზე. მაგრამ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების **ეროვნულ** პროგრამაში 1978 წლისათვის გათვალისწინებულია ამ კულტურებისათვის გამოიყოს მხოლოდ 8.674 ჰექტარი. ჩვენ მიგვანია, რომ დღეს, როცა ასე მწყავედ დგას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საკითხი, დაგეგმვის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დარგის განვითარების ინტერესებიც. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი აზრი და საკითხი დადებითად გადაწყვეტოთ.

დეპუტატ
ე. ს. ცირამუას
სიტყვა

ეფექტიანობისა და **ხარისხის** ხუთწლედის მეორე წელს ჩხოროწყუს რაიონის მშრომელები კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ. განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვთ მეჩაიეებს, რომლებმაც ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 18.850 ტონა მოიწიეს. რაიონმა წელს პირველად შეასრულა სამინდოს მარცვლის წარმოების დავალება, აღმავლობის გზაზეა ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგიც, როგორიც არის მეცხოველეობა.

ჩვენ არაერთხელ გვითხოვია ზემდგომი ორგანოებისათვის მოეგვარებინათ რაიონის გზების კეთილმოწყობის საკითხი, მაგრამ ყველა ჩვენი თხოვნა, რატომღაც, უყურადღებად რჩება. სესიას ვთხოვ. გათვალისწინოს ეს სამართლიანი მოთხოვნები და 1978 წლის გეგმაში შეიტანოს სავატომობილო გზების რეკონსტრუქცია.

1978 წელს ჩვენს რაიონში გათვალისწინებულია სამინისტროს ხაზით გათვალისწინებული არ არის არც ერთი ობიექტის მშენებლობა, თუმცა ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის რეაწლიანი სკოლა და დაბა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის მშენებლობის მთელი დოკუმენტაცია უკვე შედგენილია. ეს საკითხიც უნდა გადაწყდეს.

რაიონის ეკონომიკის განსაზღვრავს სოფლის მეურნეობა, მაგრამ მცირემიწიანობის გამო ჩვენში გარკვეული სიძნელეებია. ჩვენ მიზანმიმართულ მუშაობას ვეწევით რეზერვების გამოვლენისა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში წინათ გამოუყენებელი მიწების მოქცევისათვის. ჩვენ გავაანალიზეთ არსებული შესაძლებლობანი და გთხოვთ რაიონს გაუფიდოთ გეგმა: ღორის სულადობის ზრდისა — 700 სულით, თხისა — 1000 სულით. სამინდის მოსავლიანობისა არა — 22 ცენტნერით, არამედ 25 ცენტნერით, აგრეთვე გამოიძენთ 300-400 ჰექტარი მიწები მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

სესიას ავუფუძვამთ, რომ რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ მეათე ხუთწლედის დავალებათა დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივნის
ვ. რ. კვალიაშვილის
სიტყვა

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა ავამოქმედოთ ყველა არსებული რეზერვი.

კასპის რაიონის მშრომელებს დღეს სიამაყით შეუძლიათ თქვან, რომ ორი წლის მანძილზე მოპოვებული წარმატებანი უზრუნველყოფენ მეათე ხუთწლედის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

გარკვეული ძალისხმევა გვაქვს რაიონის ეკონომიკის, კულტურის ყველა დარგში. სტაბილურად აისრულებენ გეგმებს ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში. რაიონში წელს საეკსპლოატაციოდ გადაეცა 5.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, შენდება 3 საშუალო სკოლა, საშენდნი ნაგებობანი და სხვ. გეგმა შეასრულეს მიხედვით 106 პროცენტით შესრულდა.

კასპის რაიონში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, არსებულთა გაფართოება და რეკონსტრუქცია. დასახულია მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა. ყოველივე ეს ვვეკარნახებს დღესვე მივაქციოთ ყურადღება პრობლემებს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ. ქალაქი კასპი სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდის, მაგრამ არაერთგზის განცხადების მიუხედავად, ეს საკითხი დღესაც არ გადაწყვეტილა. ქალაქში არ არის სასტუმრო, ამავე დროს კი ასადგილიანი სასტუმროს პროექტი დიდი ხანია მზად არის.

სესიას ვთხოვთ შესაბამის ორგანოებს დაავალოს ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტა.

დეპუტატ
ი. ა. ხარატიშვილის
სიტყვა

ჩვენი სესია ამტკიცებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმასა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკმა ფართოდ გამოიხმაურნენ რუსთაველთა პატრიოტულ თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვეყოფთ!“. ამან თავისი დადებითი შედეგები მოგვა. შემცირდა იმ ტრესტების, გაერთიანებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებდნენ.

ახლა სამინისტრო მთელ მატერიალურ და შრომითს რესურსებს ამბარს საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულებას, დიდი მოცულობის სამუშაოები წარმოვებს აგრეთვე უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, რომლებიც საეკსპლოატაციოდ უახლოეს დღეებში გადაეცემა.

კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე. უნდა მივაღწიოთ, რომ ამაღლდეს ყველა ხელმძღვანელის, ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა, გეგმები შესასრულოს ყველა ტრესტმა, გაერთიანებამ, წყალსაცავის, საცხოვრებელი სახლების, სპორტული ნაგებობისა და ლაბორატორიების მშენებლობა.

დასასრულ მინდა აღვუთქვა სესიის მონაწილეებს, რომ ჩვენ კოლექტივი ყველაფერს იღონებს, რათა პირნათლად შეასრულოს დასახული ამოცანები.

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენების გამო

დეპუტატ
ო. ვ. თაქთაქიშვილის
სიტყვა

თანამედროვე ცხოვრების სფეროში ისტორიულ ძეგლთა შეტანა ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში უკვე ნორმად იქცა. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც უამრავი ჭეშმარიტად უნიკალური ძველი ძეგლი აქვს, **ეს** სამუშაო ჯერ კიდევ ჩამორჩება. მართალია ამის ერთგვარ გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიულ ძეგლთა სამრავლე და ძნელად მისადგომ ადგილებში მათი განლაგება.

ისტორიული კულტურის ძეგლთა დაცვას მარტო საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა გეგმაზომიერი ფორმა, ხოლო ახლა, ჩვენი სახელმწიფოს ახალი კ

ახალი ლექსები

იონა ვაკელი

მისი მრავალ-ქამიერი

მოდის შეკვლე...
შევერცხლილა
გადაშლილი მთა და ველი,
მოაქვს დიდი სიხარული
ნანატრი და სასურველი.
ჩიჩილაკი ბუხრის თავზე,
ზედ სურო და
კურკანტელი,
გოზინაყი, ნუგბარები,
ბა, ახალი დადგა წელი!
სიხარული შინ და გარეთ
მუსამოცე მიდის წელი...
ყველას ტკბილად
შერგებოდეს —
ალალ შრომით შენაძენი,
გული გვქონდეს ფოლადისა
და სიკეთეს ჰედდეს
გრდემლი,
არ გვენახოს გაჭირვება,
მოწყენა და თვალზე
ცრემლი...
მუდამ გვქონდეს
შვება-ლხინი,
ლალი, არა წამიერი,
ვისი სადღეგრძელო იყოს—
მისი მრავალჟამიერი!

ეთერ ჯიშკარიანი

შენს მობრძანებას

მშვიდობის მტრედით
ღრუბლებთან დაობ,
ძველს მიაცილებს
ფარფატით წერო,
ჩემი სამშობლოს
ზღურბლზე შემდგარო,
შინ შემობრძანდი,
ახალო წელო!

ზეცამ გააღო ლურჯი
სარკმელი,
ველ-მინდვრებს აფენს
ლალსა და გიშერს,
გესმით? აუდერებს
მოსკოვი-კრემლი,
კურანტებს, როგორც ოქროს
კლავიშებს.

გაჩკვეთე უველა დრო და
მანძილი,
დაფდაფებს ახალი ძალით
დაჰკარი,
რომ წყაროებსაც
დავუფრთხოთ ძილი,
ველა ოჯახში დადგი
აკვანი...

ტეე ვერ იტევდეს შველსა
და ირემს,
გლეხს ახარებდეს სავსე
ურმები,
ქედებს ნახირი უხვად
მოჰფინე,
ტკბილად აკვნესე
სალამურები...

ოცნებამ ხად არ
შემომატარა,
მიხმობს რუსთაველ დიდი
მარტენი,
ნუ გიკვირს, თუ ვარ ასე
პატარა,
დიდ სიყვარულს გულში
დამტევი...

ჩრავალჟამიერ ცამდე
გაისმის,
ეფე-ზამთარი ფანტელებს
ართავს,
ოხმოსშიც შევსვთ
ტკბილი ხახმისი,
ლავერდი ვართ
გულმართალ ხალხთან.

შვიდობის მტრედი
ზენიერზე შედგა,
ველს მიაცილებს
ფარფატით წერო.
ა, ამ ახალ
საქართველოს და
ენს მობრძანებას,
ახალო წელო!..

...ბაკატიო ...ბილდო

...ახალი წლის წინ მოს-
...ვდან საქართველოს სსრ
...ათლების სამინისტროს
...გოგებაშვილის სახელობის
...დაგოგიკის სამეცნიერო-
...ლევითი ინსტიტუტის მი-
...ართით სახიბარუ ლ
...ობა მოვიდა. სსრ კავ-
...რის სახალხო მეურნეობის
...ეწევათა გამოფენის მთა-
...ვა კომიტეტმა ბრინჯაოს
...ლითა და ფულადი პრე-
...ით დაჯილდოვა ჩვენი
...ენის 1977 წლის მთავარი
...ოფენის მონაწილენი —
...ტიტუტის უმცროსი მეცნ-
...რ-თანამშრომელი შ. ...
...ელი და უფროსი მეცნი-
...თანამშრომელი შ. ბაკუ-
...ე. ხაპატიო ჯილდო მათ
...ნიჭათ ქართული სკოლე-
...მოსამზადებელი კლასე-
...თვის მათმატიკის სახე-
...ძღვანელოს ^ექმნის გა-
...

...ანამდე გამომცემლობა
...ნათლების" მიერ გამოშ-
...ული ეს სახელმძღვანე-
... საუკეთესოდ აღიარეს
...ნების რესპუბლიკ ურ
...კურსზე. (საქინფორმი).

წინგაკაკგეული ნაბიჯი

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე

□

ახლახან საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მიერ „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. სხდომაზე დარბაზში თავი მოეყარა კომპოზიტორებს, მხატვრებს, მსახიობებს, არქიტექტორებს, ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკების ეს ანგარიში ბიუროს სხდომამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. მოსკოველთა წინაშე სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სახლის დიდ დარბაზში პირველად წარსდგნენ საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორები. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსელებმა ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სცენაზე დიდი წარმატებით წარმოადგინეს ბ. ლავრენევის „რღვევა", სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა პოეტები, მწერლები, დრამატურგები შეხვდნენ სახელგანთქმულ საბჭოთა მწერლებს, კრიტიკოსებს...

საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის დასკვნით საღამოს რომელიც ნ. გოგოლის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი დასწრო.

ეს საღამო მოსკოველ მაყურებლებს დიდხანს დაამახსოვრდებათ. დამსწრენი თავიანთი მაღალი ოსტატობით მოხიბლეს ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუსთაველის", საქართველოს კამერული ორკესტრის, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატის — თბილისის ბ. ძიელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ანსამბლის „მზიურის" წევრებმა, „ცისფერმა ტრიომ", თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებმა ელდარ გეწაძემ და ლიანა კალმახელიძემ, პიანისტმა ლექსო თორაძემ, მევიოლინე ლიანა თუშმალიშვილმა... ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საღამო-ანგარიშმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა ყველას.

...ბიურო გახსნა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. პასტუხოვმა, ხოლო მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", — თქვა ჟ. შარტავამ, — ნამდვილი სამოქმედო დოკუმენტია, რომელმაც მკაფიოდ გამოკვეთა ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ეს დადგენილება ძალიან დაგვეხმარა, რომ ღრმად გავრკვეულიყავით საქმის ვითარებაში. ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებით ახალგაზრდობას აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია უჭირავს და სასიხარულოა, რომ იმ დაბებით ძერებში, რომლებიც საქართველოში ხდება და რომლებიც აღნიშნულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, მანაც ღირსეული წვლილი შეიტანა.

მომხსენებელმა ილაპარაკა შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე, ლენინურ გაკვეთილებზე, სემინარებზე, ახალმშენებლობებსა და სოფლებში ახალგაზრდა პოეტების, მწერლების, მხატვრების შემოქმედებით მივლინებებზე...

მაგრამ ყველაფერი, რაც გავაკეთეთ, — ხაზგასმით აღნიშნა — ჟ. შარტავამ, — მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯია და არა საბოლოო შედეგი. გასაკეთებელი ჯერ ძალიან ბევრია. შემდგომ მან ილაპარაკა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე.

ის, რაც გაკეთებული და გადაწყვეტილია, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მთავარი ყურადღება ამჟამად გადაუჭრელ პრობლემებს უნდა მივაქციოთ, ამბობს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. სუხორადო, რომლის ხელმძღვანელობითაც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბრიგადამ მიესწავლა ჩვენს რესპუბლიკაში შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხი.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მთავარმა რედაქტორმა ლ. კორნეშოვმა დადებითად შეაფასა დამრიგებლობის სისტემა, ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსა და ახალგაზრდა შემოქმედებით მუშაკებს შორის არის დამყარებული.

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიას" დირექტორმა ვ. განიჩევმა აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდა ლიტერატორების შემოქმედებაში სრულად არ აისახა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ის წარმატებული და დიდი ბრძოლა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა.

სიტყვა კიდევ ბევრმა წარმოთქვა და თითოეული მათგანის გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა კეთილმოსურნეობა, მომთხოვნელობა, პრინციპულობა... დასასრულ სიტყვით გამოვიდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. პასტუხოვი.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, — თქვა მან, — ბევრი რამ გააკეთა „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად და ქვეყნის მრავალი კომკავშირული ორგანიზაცია უთუოდ გადაიღებს ამ საქმეში ქართველი ამხანაგების გამოცდილებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

უეჭველია, რომ ბიუროს დადგენილება, იქ გამოსული ამხანაგების რჩევა და რეკომენდაციები რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას დიდად დაეხმარება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრულყოფილად შესრულებაში.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის", ფოტოკონკურსი

მაღალი ჯილდო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიის [illegible] საბჭოთა [illegible] კულტურის მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად კუბის ელჩმა სსრ კავშირში გადასცა მონაკადის მედალი. კუბის მთავრობამ მეცნიერს ეს მაღალი ჯილდო მიანიჭა „კუბაში სოციალიზმის მშენებლობაში თავანდადებული მონაწილეობისათვის".

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თ. დავითაია ხელმძღვანელობდა საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც კუბელ კოლეგებთან ერთად აწარმოებდა ამ ქვეყანაში გეოგრაფიისა და მომიჯნავე მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

კუბაში წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდნენ ქართული მეცნიერების წარმომადგენლები — გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი კ. გოგიშვილი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები ე. ნაკაიძე და გ. გაგუა. სპეციალისტებმა ამ ქვეყნების აგრომეტეოროლოგიური და ნიადაგის სამელიორაციო პირობების მხიმე ველოგანი გამოკვლევები ჩაატარეს. ამ გამოკვლევების შედეგია გამოცემულობა „მერანში" ამას წინათ გამოქვეყნებული ე. ნაკაიძის მეცნიერული მონოგრაფია „კუბის ნიადაგის სამელიორაციო თავისებურებანი".

1977 წელს თ. დავითაია კუბაში იყო. მან კუბელ კოლეგებთან ერთად განიხილა თავისუფლების კუნძულის ბუნებრივი გარემოს შესწავლის დარგში საბჭოთა კავშირისა და კუბის მეცნიერთა შემდგომი ერთობლივი მუშაობის პროგრამა. (საქინფორმი).

კ. გენძეხაძე — „მშვიდობის მტრედები".

საკ ლ ე ს ი

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

ჯ. კარტერი საზღვარგარეთ გაემგზავრა

ვაშინგტონი, 29 დეკემბერი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი დღეს საზღვარგარეთ გაემგზავრა. იგი ეწვევა პოლონეთს, ბელგიას, ირანს, ინდოეთს, საუდის არაბეთსა და საფრანგეთს.

იუწყება რა ამ მოგზაურობის მიზნების შესახებ, ამერიკის პრესა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას უთმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს განზრახული აქვს უპირველესი მნიშვნელობა დაუთმოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემას. ამ ახალი სიტუაციის მიხედვით, რომელიც ამ რეგიონში შეიქმნა სადათისა და ბეგინის სეპარატული მოქმედების შემდეგ. იმის შედეგად, რომ სადათი ისრაელის პრემიერთან ორჯერ შეხვედრის შემდეგ ჩიხში აღმოჩნდა და ტელ-ავივისადმი დათმობის სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. ამერიკის დიპლომატიას განზრახული აქვს ახალი იმპულსი მისცეს სეპარატულ გარიგებათა პოლიტიკას, რომლის არქიტექტორიც გამხდარნი იყო. ჯ. კარტერს, როგორც იუწყებიან, განზრახული აქვს ზეგავლენა მოახდინოს ზოგიერთი არაბული ქვეყნის ხელმძღვანელებზე, რომლებმაც დაგმეს ეგვიპტის პრეზიდენტის კაპიტულანტური პოლიტიკა, რათა ისინი ან შეუერთდნენ ამ კურსს, ან თუნდაც შეწყვიტონ კრიტიკა და წინააღმდეგობა ტელ-ავივის სეპარატული გარიგებების მიმართ.

თუ რა ბაგაეთი მიემგზავრება ჯ. კარტერი ახლო აღმოსავლეთში, ამას მოწმობს, კერძოდ, მისი ინტერვიუ ამერიკის სატელევიზიო კომპანიებთან. იორდანიის მეფე ჰუსეინთან თავისი მოლაპარაკების შესახებ პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ მას სურს გამოარკვიოს, „შეიძლება თუ არა იძიულოს იგი აშკარად დაუჭიროს მხარი და მოიწონოს ბეგინისა და სადათის მოქმედება".

ჯ. კარტერმა არსებითად მხარი დაუჭირა ისრაელის პოზიციას პალესტინის პრობლემის მიმართ. მან გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ პალესტინის არაბ ხალხს მიენიჭოს სუვერენული სახელმწიფოს შექმნის უფლება და განაცხადა: არ მინდა, რომ პალესტინელებს ჭქონდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და მსურს, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ მეზობელ ქვეყნებთან, მაგალითად, გაიკეთონ არჩევანი ისრაელსა და იორდანიას შორის".

სხვანაირად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა კვლავ მოგვაგონა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც უგულებელყოფს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებებს — ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს.

ახალი დანიშვნა

ვაშინგტონი, 29 დეკემბერი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გამოაცხადა, რომ მრავალეროვნული კორპორაციის „ტიმტრონის" პრეზიდენტი უილიამ მილერი დანიშნა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარედ. იგი შეცვლის არტურ ბერნსს, რომელსაც ამ პოსტზე ყოფნის ვადა იანვრის დამლევს უთავდება.

ეს მთავრობის უბრალო გადაადგილება კი არა, არამედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშვნაა კარტერის ადმინისტრაციაში. ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ასრულებს ცენტრალური საემისიო ბანკის როლს, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, საფინანსო და საგალუტო საკითხებში მთავრობის პოლიტიკაზე.

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის შეცვლა ასახავს სერიოზულ კონფლიქტს მთავრობაში. ბერნსი, რომელიც უოლ-სტრიტისა და საერთაშორისო ფინანსური წრეების დიდი ნდობით სარგებლობდა, აშკარად ილაშქრებდა ახლანდელი ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი დებულების წინააღმდეგ.

სწორედ ფინანსური წრეების უკმაყოფილების შესანელებლად, რაც ბერნსის გადადგომამ გამოიწვია, კარტერმა აირჩია ამ თანამდებობაზე მსხვილი ბიზნესმენი და ბანკირი, რომელიც ბიზნესმენთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარეა.

ჰორტუგალია:

მ. სოარეშს მთავრობის შედგენა დაევალა

პარიზი, 29 დეკემბერი. (საკლესი). პორტუგალიის პრეზიდენტის რამალიუ ეანეშს დავალებით სოციალისტური პარტიის ლიდერმა მ. სოარეშმა დღეს დაიწყო კონსულტაციები ახალი მთავრობის შედგენის საკითხზე.

პორტუგალიის მთავრობის კრიზისი იმან გამოიწვია, რომ 8 დეკემბერს გადადგა სოციალისტთა ერთპარტიული კაბინეტი, რომელსაც მ. სოარეში მეთაურობდა რადგან პარლამენტმა მას უარი უთხრა ნდობის ვოტუმზე. სახელმწიფოს მეთაური ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური პარტიების, მათ შორის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან და რევოლუციური საბჭოს წევრებთან, სანამ სოციალისტური პარტიის ლიდერს ახალი კაბინეტის შექმნას დაავალებდა.

პრეზიდენტის კანცელარიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების მონაწილეთა დიდი უმრავლესობა დათანხმდა რაჟალიუ ეანეშის არჩევანს, რადგანაც მ. სოარეში მეთაურობს პარტიას, რომელსაც რესპუბლიკის კრებაში ყველაზე მეტი ადგილი აქვს (102-263-დან).

როცა პრეზიდენტის არჩევანს მხარი დაუჭირა, პორტუგალიის კომუნისტური პარტია უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ საჭიროა შეთანხმდნენ ძირითადი პარტიები მომავალი მთავრობის პოლიტიკური პლატფორმის შემუშავებისათვის.

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ქურნალების ახალი ნომრები

□

„ეკონომისტი" № 12

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „ეკონომისტის" მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება **მოწინავე** წერილით „ოქტომბრის გამარჯვება — მეოცე საუკუნის მთავარი მოვლენა".

აწსლაგით **„სოციალისტური მშენებლობის ლენინური გზით"** გამოქვეყნებული სტატიები და წერილები: **დ. ჭორიძის** — ოქტომბრით შობილ ცხოვრების წესი; **ე. ქვათაძის** — საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახე; **ვ. აბაშმაძის** — საბჭოთა მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გაფართოება; **ხ. მოსიძის** — მაღალგანვითარებული კულტურის ქვეყანა.

რუბრიკით **„მაღალი შრომითი რიტმი, ორგანიზებულობა, ინიციატივა — ახალ წარმატებათა საწინდარი"** დაბეჭდილია: **ო. მელქაძის** — მომჭირნეობის რეკომენდაციებისათვის; **ნ. გვიშიანის** — მშრომელთა ენთუზიაზმის, შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის არნახული გაქანება.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: **„პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები"**; **„მშრომელთა ეკონომიკური განათლება"**. აქვეა გამოქვეყნებული ჟურნალ „ეკონომისტის" 1977 წლის ნომრების შინაარსი.

„საბჭოთა ხელოვნება" № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის **„საბჭოთა ხელოვნების"** მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ამას წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კამეგობათა გაერთიანებული პლენუმი. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი ბეჭდავს საინფორმაციო ცნობას და **დ. ალექსიძისა, ო. გორდელის, ო. ხანგლიძის** გამოსვლებს ამ პლენუმზე.

თბილისში დიდი წარმატებით ჩაიარა ლენინგრადის დიდი აკადემიური თეატრის გასტროლები. ამ მოვლენას ეძღვნება **ნ. გურაბანიძის** ვრცელი წერილი „ლენინგრადის თეატრი თბილისში".

წელს მესხეთის თეატრს დაარსებიდან ასი, ხოლო განახლებიდან ათი წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებულია **ვ. კაკნაძის, ნ. დემეტრაშვილის, ხ. ხანიკიძის** სტატიები. აღრეთვე ჟურნალის კორესპონდენტის ხაუბარი მესხეთის თეატრის მსახიობებთან.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია **ნ. ჯაშის, ხ. ქეთელაურის, ი. ლორთქიფანიძის, გ. თაქთაქიშვილის, ტ. ბროლოვსკაიას, უ. ჯაფარიძის, დ. ჯანელიძის, ხ. ჭიჭინაძის, ნ. ჯინჯიხაშვილის, ი. ბალახაშვილის, ა. დვალიშვილის, ა. ერქომაიშვილის** წერილები და სხვა საინტერესო მასალები.

„საბჭოთა მედიცინა" № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური ჟურნალის **„საბჭოთა მედიცინის"** მორიგი, მეექვსე ნომერი.

შაში

ელენე მიხაილოვსკაიას პირველი ტიტული

ჰაგა. (საკლესი). 1977 წელს საბჭოთა სპორტსმენებიდან უკანასკნელმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოსკოველმა ელენე მიხაილოვსკაიამ. მან კვლავ, უკვე ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა უძლიერესის სახელი ასეულრეიან შაშში მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამსტერდამში დამთავრდა. საბჭოთა სპორტსმენმა 7,5 ქულა მოაგროვა 10 შესაძლებლიდან. მეორე ადგილი დიეკავა ასევე საბჭოთა შაშისტმა — ლუდმილა სოხნენკომ — 6,5, **შესამე** — ნიდერლანდის ჩემპიონმა ბ. გრასმა — 6 ქულა.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა ფინალური

მატჩის მსვლელობა კვლავ დაირღვა

ბელგრადი, 30 დეკემბერი. (საკლესი). კორჩნოიმ მიატოვა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი და მის ორგანიზატორებს ულტიმატუმი წაუყენა: თამაშის დროს დარბაზში მაყურებლები... არ ვნახოო.

მანამდე, როგორც ცნობილია, მან მოითხოვა სცენიდან ჩამოეხსნათ სადემონსტრაციო დაფა, სცენის ეროი აფგალიდან მეორეზე გადაეტანათ მონაწილეთა დასასვენებელი ოთახები და სხვ. მატჩის მთავარმა არბიტრმა ბ. კაჟინმა განაცხადა: „კორჩნოის მოთხოვნების შესრულება საერთოდ შეუძლებელია". მან თქვა, რომ 30 დეკემბერს მატჩის მე-14 პარტია არ გათამაშდება. იგი გადატანილია 2 იანვრისათვის, ჯერჯერობით კი მსაჯის გადწყვეტილებით კორჩნოის მეორე „ტაიმ-აუტი" ჩაეთვალა.

სამეჯლისო ცეკვების კონკურსი

თბილისში გაიმართა სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა საქალაქო კონკურსი: „საახალწლო თბილისი-77". ის მოაწყეს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლმა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 46 მოცეკვავემ — მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, მოსამსახურეებმა.

გარდა თბილისელი, სოხუმელი, რუსთაველი და ხაშურელი მოცეკვავეთა წყვილებისა, კონკურსში მონაწილეობდნენ რიგის, ტალინის, დონის როსტოვის, შახტის, უფის, ყაზანისა და ლიპეცკის წარმომადგენლები. კვალიფიკაციის მიხედვით წყვილები დაყოფილი იყვნენ ორ კლასად: „დ" და „ს" კლასებად, შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ევროპული და ლათინური ამერიკის ცეკვები.

შეჯამდა კონკურსის შედეგები.

„დ" კლასში საუკეთესოდ ცეკვეს გ. შენგელია და ლ. შალიკაშვილი (ოფიცერთა სახლი), მეორე ადგილზე არიან ვ. პუზიკოვი და გ. მარგუსი (მახტი), მესამეზე — ო. როკინი და ს. ნიკულინა (უფა). „ს" კლასში ადგილები ასე განაწილდა: გ. კოშჩენკო და მ. დროზდოვა (მახტი), ა. აქსენოქსი და ი. ვედე (რიგა), მ. და ტ. ტეემანტები (ტალინი). (საქინფორმი).

ჭ ო ე ე ი

გამარჯვებით დაიწყეს

სსრ კავშირის ნაკრები იაპონიაში ორჯერ შეხვდა ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიულ გუნდს „ვანიპეგ ჯეტს" და გაიმარჯვა ანგარიშით 7:5 და 4:2. ეს გუნდები ტოკიოში კიდევ ერთ შეხვედრას გამართავენ, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები კიდევ ექვს მატჩს იოთამაშებს ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის კლუბებთან კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„სპორტლოტო"

გაცნობებთ 28 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 52-ე ტირაჟის შედეგებს.

„სპორტლოტო": 18 (რიტუალი), 36 (ალალმი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 40 (ტენერობა), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 22 (ცეკვაობა), შედგათიანი ბურთი — 35 (სპიდვეი).

„სპორტლოტო-2": 7 (ბიატლონი), 26 (მოტობოლი), 4 (მთამსვლელობა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 14 (ფრენბურთი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), შეღვადიანი ბურთი — 10 (ბუერი).

□

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა 24 დეკემბერს გამართული „შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 52-ე ტირაჟის შედეგები.

პირველი ტირაჟი: ხუთი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ოთხი ნომერი გამოიცნო, ითვლ წილად ხვდათ 396 მანეთი მოგება (564 ბარათი); სამი — 8 მანეთი (22.539 ბარათი).

მეორე ტირაჟი: ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, ითვლ წილად ხვდათ 5 ათასი მანეთი მოგება (8 ბარათი); ოთხი — 131 მანეთი (1.339 ბარათი); სამი — 5 მანეთი (37.291 ბარათი).

„შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 52-ე ტირაჟის მოგებათა გადახდა იწარმოებს 1978 წლის 4 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით. (საკლესი).

ფელეტონი

31 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.55 — „ცერო დ ენას ეკრანი" (ქართულ ენაზე, ფერადი), 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ეკრის უბნის მელოდიები" (ფერადი), 13.35 — ქართული სატელევიზიო ფილმი „იწყება ზღაპარი" (ფერადი), 14.00 — ხალხური სიმღერები (ფერადი), 14.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორმრეგისათვის. ფერადი, 15.10 — „პატარა მეგობრები" ახალი ქართული სატელევიზიო ფილმი (ფერადი), 15.20 — კონცერტი. ფერადი, 16.20 — „მწერი" — ქართული სატელევიზიო ფილმი-ბალეტი. ფერადი, 16.50 — ცხოველთა სამყაროში (ფერადი, მოსკოვიდან), 17.55 — მულტანფორა, 19.20 — „ეროვერა". ახალი ქართული სატელევიზიო ფილმი, 20.15 — საესტრადო პანორამა (ფერადი), 21.00 — „ოთამბე" — საინფორმაციო პროგრამა. ფერადი, 21.30 — ო. თაქთაქიშვილი — „სატრფიალო სიმღერები" ახალი ქართული სატელევიზიო ფილმი (ფერადი), 22.00 — „ვრეკმია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საახალწლო (ფერადი), 00.50 — მრავალ ახალ წელს! — მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი (მოსკოვიდან), 01.05 — საახალწლო „ცისფერი ეკრანი" (ფერადი, მოსკოვიდან), 03.35 — ლენინგრადის მუზიკ-ჰოლი. (ფერადი, მოსკოვიდან), 04.15 — საზღვარგარეთული ესტრადის რიტმები და მელოდიები (ფერადი, მოსკოვიდან).

31 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეროსტრატეს; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბარბარეს; ალ. ცაგარელის სახელობის სამეცნიერო-ლიტერატურული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი შ. ...ელი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი შ. ბაკუ-ე. ხაპატიო ჯილდო მათ ნიჭათ ქართული სკოლე-მოსამზადებელი კლასე-თვის მათმატიკის სახე-ძღვანელოს ^ექმნის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა